საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე

თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე (დ. 13. I. 1941, ქ. თბილისი), გენერალ-ლეიტენანტი (1996). დაამთავრა ცენტრ. სამობილიზაციო კურსები (1970), მ. ფრუნზეს სახ. სამხ. აკადემია (1981), რიაზანის სამხ. საავიაციო სასწავლებელი (1991). 1958–84 მსახურობდა საბჭოთა არმიაში; 1984–92 იყო აჭარის სამხ. კომისარი, 1993-იდან – საქართვ. შეიარაღებული ძალების მთ. შტაბის უფროსის მოადგილე, 1993–94 – საქართველოს მხრიდან ცხინვალის რეგიონის სამშვიდობო ძალების სარდალი. 1994 მიენიჭა გენ.-მ. წოდება. 1994–98 იყო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, 1994–96 – თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსი, 1996–98 – საქართვ. სამხ. კომისარი და თავდაცვის სამინისტროს სამხ. კოლეგიის წევრი. 2001-იდან თადარიგშია.

ლ. დოლიძე